



მაღალი დონის პრინციპები ფისკალური გამჭვირვალობის, მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ



ყველას აქვს უფლება, მოიძიოს, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია ფისკალური პოლიტიკის შესახებ. ამ უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული საკანონმდებლო სისტემებით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პრეზუმცია ფისკალური ინფორმაციის საჯარო და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ხელმისაწვდომობის სასარგებლოდ. უნდა არსებობდეს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის და კანონმდებლობით მკაფიოდ დადგენილი გამონაკლისები, რომლებიც გადასინჯვას დაექვემდებარება დაბალხარჯიანი, დამოუკიდებელი და ოპერატიული გადასინჯვის მექანიზმების გამოყენებით.



მთავრობებმა უნდა გამოაქვეყნონ მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი მიზნები ერთიან ფისკალურ პოლიტიკასთან მიმართებაში, რეგულარულად წარმოადგინონ ანგარიშები მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ და განმარტონ გეგმებიდან გადახვევა.



საზოგადოებას უნდა წარედგინოს მაღალი ხარისხის ფინანსური და არა-ფინანსური ინფორმაცია წარსულში განხორციელებული, მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი ფისკალური აქტივობების, შესრულებული სამუშაოს შედეგების, ფინანსური რისკებისა და სახელმწიფოს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ. ბიუჯეტებში, ფისკალურ ანალიზებში, ფინანსურ ანგარიშგებებსა და ეროვნულ ანგარიშებში ფისკალური ინფორმაციის შეტანა უნდა წარმოადგენდეს მთავრობის ვალდებულებას, უნდა პასუხობდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, უნდა ექვემდებარებოდეს ერთგვაროვან წესს სხვადასხვა ტიპის ანგარიშთან მიმართებაში, ან შეიცავდეს არსებული განხილვების განმარტებას ან მათი დარეგულირების გზებს.




მთავრობებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მათ მიერ დასახული მიზნებისა და მათთვის გადაცემული რესურსებით შექმნილი პროდუქციის შესახებ, და შეაფასონ და ასახონ მოსალოდნელი და რეალური სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი შედეგები.



სახელმწიფო სექტორში განხორციელებულ ყველა ფინანსურ ოპერაციას უნდა ჰქონდეს თავისი საფუძველი საკანონმდებლო ნორმაში. სახელმწიფო ფინანსების მართვის მარეგულირებელი კანონები, ნორმატიული აქტები და ადმინისტრაციული პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის და მათი განხორციელება უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ განხილვას.



ანგარიშგების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის, სახელმწიფო სექტორი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და დადგენილი, ამასთან, სახელმწიფოს ფინანსური ურთიერთობები კერძო სექტორთან უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, უნდა წარიმართოს ღიად და მკაფიოდ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.



შემოსავლების ზრდასთან, პასუხისმგებლობის აღებასთან, რესურსების ხარჯვასთან, ინვესტირებასა და სახელმწიფო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები და ვალდებულებები კანონით მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ხელისუფლების სამ შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს), ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, სამთავრობო და დანარჩენ სახელმწიფო სექტორებს შორის და თავად სამთავრობო სექტორის შიგნით.



სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების ზრდისა და ხარჯების გაწევის უფლებამოსილება უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით. სახელმწიფო შემოსავლების ზრდა, ან ხარჯების გაწევა/გამოყოფა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს ნებართვით, ბიუჯეტის ან სხვა კანონის საფუძველზე. საკანონმდებლო ორგანოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, რესურსები და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ეფექტიანად დაეკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფო რესურსებით სარგებლობისთვის.



უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს უნდა გააჩნდეს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან კანონით დადგენილი დამოუკიდებლობა და მანდატი, წვდომა ინფორმაციასთან და შესაბამისი რესურსები იმისათვის, რომ ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება და საზოგადოებას წარუდგინოს ანგარიში სახელმწიფო ხარჯების მობილზაციისა და ათვისების შესახებ. ის უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად, ანგარიშვალდებულად და გამჭვირვალედ.



მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, და როგორც ისინი, ასევე ყველა არა-სახელმწიფო სუბიექტი უნდა სარგებლობდნენ რეალური შესაძლებლობით, პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ფისკალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ დებატებსა და დისკუსიასში.